საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/182 " 15 " აგვისტო 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ. ხათაშვილის საჩხერის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

„საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ი. ყიფიანის შვებულების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის 2019 წლის 24 ივნისის №8 §II ბრძანების შესაბამისად ივანე ყიფიანს შვებულებით სარგებლობის უფლება მიეცა 2019 წლის 19 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით. ვინაიდან, ი. ყიფიანი საჩხერის რაიონულ სასამართლოში უფლებამოსილების განმახორციელებელი ერთადერთი მოსამართლეა, მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში სასამართლო დარჩება მოსამართლის გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საჩხერის რაიონული სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინებულ იქნეს მოსამართლე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მოთხოვნის გათვალისწინებით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის არყოფნის გამო მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოსამართლე მევლუდ ხათაშვილს და მიღებულ იქნა მისი თანხმობა მივლინებასთან დაკავშირებით. ვინაიდან, მივლინება მოკლე პერიოდს მოიცავს, კერძოდ 11 სამუშაო დღეს, ეს მნიშვნელოვნად ვერ დატვირთავს მ. ხათაშვილს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. ხაშურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მევლუდ ხათაშვილი მივლინებულ იქნეს საჩხერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2019 წლის 19 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე.

2. მევლუდ ხათაშვილმა იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს ხაშურის რაიონულ სასამართლოში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი